ნინო ჟიჟილაშვილი, მაკა ჩიჩუა

დარმშტატის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

24-28 ნოემბრის კვირაში, Erasmus+ - ის ადმინისტრაციული მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანმა ნინო ჟიჟილაშვილმა და ამავე სკოლის ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ჩიჩუამ, მონაწილეობა მიიღეს დარმშტატის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის, გერმანია, მედიის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში, რომელიც გაიმართა დიბურგის კამპუსში. პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო კვირეულის პროგრამა მოიცავდა როგორც სალექციო კურსებს, ასევე შეხვედრებსა და გასვლით ექსკურსიებს. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დეტალური ინფორმაცია მიეღოთ მედიის ფაულტეტის სხვადასხვა მიმართულებების შესახებ, ასევე გაცნობოდნენ პროცესებს თუ როგორ მუშაობენ სტუდენტები თანამედროვე სტუდიებში და როგორ ქმნიან მედია პროდუქტებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს დარმშტატის უნივერსიტეტის ყოველწლიურ საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოფენაში, სადაც წარადგინეს კავკასიის უნივერსიტეტი და ყველა დაინტერესებულ პირს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს უნივერსიტეტის შესახებ.